ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება:**g-87.87212443**
თარიღი:**01/09/2021**

**განკარგულება №34**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფ. მაღრაანში მდებარე 47526კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მოქალაქე დავით იმერლიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და ქირის წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილის, 54-ე, 57-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს **სოფ. მაღრაანში მდებარე 47526კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მოქალაქე დავით იმერლიშვილისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა.** (საკადასტრო კოდი: 50.09.36.299)

2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გასაცემი: **სოფ. მაღრაანში მდებარე 47526კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის**

   ა) სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური 13000.0 (ცამეტიათასი) ლარის ოდენობით.

   ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10 წელი.

3. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ.N41)

თამარ ყეინიშვილი
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 TEL:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:AKHMETA.SAKREBULO@GMAIL.COM